საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აშელის კულტურა

აშელის კულტურა, აშელის ეპოქა, ქვედა პალეოლითური არქეოლოგიური კულტურა. სახელი ეწოდა ჩრდ. საფრანგეთში, ქ. ამიენის მახლობლად, მდ. მარნის ტერასაზე მდებარე ადგილის სენტ-აშელის (Saint-Acheul) მიხედვით. ა. კ. ჩამოყალიბდა აღმ. აფრიკაში 1.500.000–1.300.000 წლის წინ, სადაც შეცვალა ოლდუვაის კულტურა. Homo erectus-ის განსახლებასთან ერთად ა. კ. აფრიკიდან გავრცელდა ევროპასა და აზიის სამხრ. ნაწილში. ა. კ-ის გავრცელების უკიდურესი ჩრდ.-აღმ. რეგიონია პეკინის მიდამოები (ჩინეთი). 200.000–120.000 წლის წინ ა. კ. შეცვალა მუსტიეს კულტურა|მუსტიეს კულტურამ. ა. კ-ს ყოფენ 3 ნაწილად: ძველ ანუ ადრინდ., შუა და გვიანდ. აშელად.

ა. კ-თვის დამახასიათებელია ქვის ორმხრივ დამუშავებული უნივერს. იარაღი – დიდი ზომის (10–30 სმ) ნუშისებრი ფორმის ხელცულები, ცულის მსგავსი სწორპირიანი იარაღი, უხეში საჩეხი იარაღი და ა. შ. გვიანდ. აშელის პერიოდში ქვის გაპობაში გაჩნდა ახალი, ე. წ. ლევალუაზური ტექნიკა, რ-ისთვისაც დამახასიათებელია საგანგებოდ მომზადებული ნუკლეუსები (გულგულა). ამ პერიოდის ადამიანი სარგებლობდა ცეცხლით, მისდევდა ნადირობას და შემგროვებლობას. საზ-ბა პირველყოფილი თემური წყობილების განვითარების ადრეულ საფეხურზე იდგა. საქართველოში ა. კ-ის 100-მდე ძეგლია ცნობილი თითქმის ყველა ლანდშაფტურ ზონაში – მთისწინა ზოლიდან დაწყებული მაღალმთიანეთის ჩათვლით. მ. შ. აღსანიშნავია იაშთხვა და ბირცხა სოხუმთან, ლაშებალთა ისტ. შიდა ქართლში, სარბები და ჯოყოეთი ქიათურის ზონაში. განსაკუთრებით საყურადღებოა 4 მრავალფენიანი ნამოსახლარი – წონა, კუდარო I და კუდარო III|III, ზიარი. ა. კ-ის უძველესი ნაშთები საქართველოში (1 000 000 წლის) აღმოჩნდა დმანისის ნაქალაქარის ქვეშ, ადრეპლეისტოცენური ასაკის ტბიურ ნალექებში. აღმ. და დას. საქართველოს ძეგლები განსხვავდება ერთმანეთისაგან. დას. საქართველოში აღმოჩენილ ა. კ-ის მრავალრიცხოვან ქვის ნაწარმში თითო-ოროლა ხელცულია, მაშინ როცა აღმ.

საქართველოში (იორ-ალაზნის აუზის გამოკლებით) მცირერიცხოვან კომპლექსებშიც კი ხელცულებს წამყვანი ადგილი უკავია. აღმ. საქართველოში იარაღის დასამზადებლად უმთავრესად ვულკანურ ქანებს იყენებდნენ, დას. საქართველოში კი – კაჟს.

დ. თუშაბრამიშვილი